# ივერია

ბაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ქუთაისში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890



## Отъ конторы редакціи

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

## სასწავლებელი და პანსიონი
### ი. რ. მრევლიშვილისა

ქუთაისი, ნიკოლოოზის ქუჩა, გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

ამზადებს ბავშვებს კადეტის კორპუსისა, გიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლისათვის, აგრეთვე იყვანს პანსიონერებად ყველა საშუალო სასწავლებლის შეგირდებს. დაწვრილებით პირობის შეტყობა თვით სასწავლებელში შეიძლება.

(18—16)

30 სექტემბერს, კვირას, დილის 11 საათზე, ტფილისის სათავადო-მამულო ბანკის დარბაზში დანიშნულია

ქართულ დრამატიულ
### საზოგადოების წლიური კრება

განსახილველი საგნები:

1) წარსულის წლის ანგარიში და სავარაუდო ანგარიში მომავალის წლის.

2) ახალის წევრების არჩევანი.


## ახალი ამბავი

*** ორშაბათს, 17 სექტემბერს, ქალაქის საბჭოს კრებაზე განხილული იყო სხვათა შორის მოხსენება გამგეობისა, რომ აღკრძალული უნდა იყოს მაკე ძროხების ხოცვა ქალაქში, თუ არაო. რუსეთის კანონებში ამ საგანზედ არა არის რა პირდაპირ ნაჩვენები. უმთავრესი ქალაქები რუსეთის იმპერიისა არაფითარს წინააღმდეგობას არ აცხადებენ მაკე ძროხების ხოცვის შესახებ. პეტერბურგის ნასწავლი ვეტერანები აცხადებენ, რომ ექვსს თვემდე ძნელად შეეტყობა ფურს მაკეა, იგი თუ არაო. ამ მიზეზისა და აგრეთვე იმის გამო, რომ კანონი არ ეწინააღმდეგება მაკე ძროხების ხოცვას, ქალაქის გამგეობა სთხოვს საბჭოს, ნუ აღკრძალავს ამ გვარ ძროხების ხოცვას, თუმცა-კი ძლიერ სასურველი იქნებოდა, რომ არც პატრონები და არც მყიდველები არ იმეტებდნენ მათ დასახოცადაო. საბჭომ ერთ-ხმად მიიღო ეს მოხსენება გამგეობისა.

დიდი ბაასი გამოიწვია ხმოსან მიქელაძის წინადადებამ, რომ უსახელო საზოგადოების ცხენის რკინის-გზის მოსამსახურეებს უნდა შეუმციროდეთ დრო სამსახურისაო. ბ-ნ მიქელაძის აზრით, ყოველი უწესოება და უბედურება, რომელიც-კი ამ გზებზე ჰხდება, სულ იმის ბრალია, რომ ნამეტანს ამუშავებენ მოხელეებს, და დაღლილ-დაქანცულს მუშას აღარც თავაზა აგონდება მგზავრებისა, აღარც პატივი და ვერ თავის სამსახურისათვის უგდია ყურიო. ამიტომ საჭიროა, ქალაქის საბჭომ დაუნიშნოს სამსახურის დრო არა უმეტეს ცხრა საათისა დღეშიო. ბ-ნმა ქალაქის თავმა ამის შესახებ გამოაცხადა, რომ თუმცა დიდად პატივ-საცემია წინადადება ხმოსნისა და ყოვლად ღირსია თანაგრძნობისაო, მაგრამ საქალაქო თვით-მმართველობის კანონის მე-55 მუხლის ძალით აღკრძალულია, საბჭო შეეხოს იმისთანა საქმეებს, რომელიც მხოლოდ სახელმწიფო კანონმდებლობის ძალით უნდა იქმნას ასე თუ ისე გარდაწყვეტილი. ამის გამო ხმ. მიქელაძის წინადადების განხილვის ნებას ვერ მივცემ საბჭოსა და მორიგ საქმეებიდგან გამომირიცხიაო.

ამას გარდა საბჭომვე განიხილა მოხსენება გამგეობისა, რომ ამ წლის გასვლამდე 2237 მან. და 59 კაპ. მომეტებული ჯამაგირები უნდა დაურიგდეთ პოლიციის მოხელეებს: ბეგიჩევს, კუზმინსკის, ველენსკის, დერიპასკის, გლენბოცკის, პავლოვსა და პისემსკისაო. რადგან ეს მომატება დამტკიცებულია შინაგან საქმეთა მინისტრისაგან და სავალდებულოა ქალაქისთვის, ამიტომ საბჭომ დაამტკიცა მოხსენება გამგეობისა.

*** მივიღეთ კიდევ სამი მანეთი, ბათუმში შეკრებილი განსვენებულ დ. ბაქრაძის სახელობაზედ დაარსებულ ფონდის სასარგებლოდ სადარაძეს მიერ. ეს ფული ნოქრებშია შეკრებილი, მანეთი შემოუწირნია თვით დიმიტრი ოქროპირის ძეს სადარაძეს, მანეთი—გიორგი ნიკოლოოზის ძეს თოხუმოვს და მანეთიც ივანე ზოსიმეს ძეს ცეცხლაძეს. ამ ფონდისა აქამდე იყო 1019 განა 72 კაპ. ეხლა იქნება 1022 მან. 72 კაპ.

*** ტფილისის გუბერნატორი თ. გ. დ. შერვაშიძე სურამის გვირაბის კურთხევის შემდეგ ახალციხეს გაემგზავრა.

*** გუშინ კახეთში გაემგზავრა სახელმწიფო ქონებათა მინისტრს განსაკუთრებულ საქმეთა მოხელე ლევაშოვი, რათა დაათვალიეროს სახელმწიფო ტყეები, ვენახები და მინდვრები. ბ-ნი ლევაშოვი სხვათა შორის წინანდალსაცა ჰნახავს.

*** ჩვენის საქართველოს დაბა-სოფლებში წიგნების გამოცემის საქმე თანდათან ფეხს იდგამს: თელავსა და ოზურგეთში დაარსებულმა სტამბებმა უკვე რამდენიმე წიგნი გამოსცეს, თუმცა უშინაარსო-კი. რასაკვირველია, ამ საქმეს ორიოდე წიგნის უშინაარსობა და უვარგისობა ბრალად ვერ დაედება, რადგან ერთი თუ ცუდი წიგნი დაიბეჭდა, შეიძლება შემდეგში ათი და ოცი კარგი და სასარგებლო დაიბეჭდოს. აი ეხლა მოგვივიდა კიდევ მეორე წიგნი, ოზურგეთში დაბეჭდილი ა. მ. მიქელაიშვილისა და ამხ. სტამბაში: „სიბრძნე სოლომონ მეფისა“. ეს წიგნი სურათითურთ გამოუცია პატივცემულს თ. გრიგოლ დავითის ძეს გურიელს. წიგნი სუფთად და ლამაზად არის გამოცემული, 62 გვერდს შეიცავს და ფასიც ძვირი არ არის—სამი შაური. ამ წიგნის ღირსება ის არის, რომ დაუმახინჯებელია და დაბადების მშვენიერი ენა არ არის გამდაბიორებული. ამას წინად ერთი ამისთანავე წიგნაკი გამოსცა „მწყემსის“ რედაქციამ, მაგრამ, გამდაბიოების მიზეზით, სოლომონ მეფის ნათქვამნი უხამსად იყო გადმოქართულებული.

*** დღესვე მივიღეთ ამიერ-კავკასიის სასტატისტიკო კომიტეტის მიერ გამოცემული: „Дагестанская область. Сводъ статистическихъ данныхъ, извлеченныхъ изъ посемейныхъ списковъ населенія Закавказья“. ეს წიგნი საკმაოდ ვრცელია და თითქმის მხოლოდ რიცხვების ტაბულებს შეიცავს. წიგნი მანეთი ჰღირს გაგზავნით.

*** ფოთიდგან ჩამოსულნი გვიამბობენ, რომ ამ თვის 13 ხალხისა და საქონლის მატარებლის უბედურების დროს, ორ დაჭრილს კონდუქტორს გარდა, ვაგონების ნამსხვრევს მოუკლავს მგზავრი დიმიტრი მელია და დაჭრილნი არიან აგრეთვე ბესარიონ თოვერიძე და მიხეილ მერაბოვი. ჯერ არ აღმოუჩენიათ ვისი იყო ის კამეჩი, რომელიც მატარებელს ქვეშ მოჰყვა. ამ უბედურობის გამო ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობას 300,000 მანეთამდე ზარალი მოუვიდა.

*** ამ დღეებში ამიერ-კავკასიის რკინის გზის ტფილისის სადგურის კასასთან მივიდა ერთი კარგად ჩაცმული ქალი და მოითხოვა ბილეთი გორამდე. კასირმა ამ ქალს ბილეთი მისცა, გამოართვა სამ მანეთიანი, რომელიც ძალიან გახუნებული იყო. კასირმა ეს ფული არ მიიღო და აჩვენა ჟანდარმს. უკანასკნელმა გასინჯა ეს სამ მანეთიანი ქაღალდი და სთქვა, რომ ყალბიაო. (ამ სამ მანეთიანის № 748582-ა $^{\text{Б}}/_{\text{Ъ}}$). ეს ქალი ჟანდარმებმა მაშინვე შეიპყრეს და გაუსინჯეს ჯიბეები, მაგრამ სამ მანეთიანი იმ ერთზე მეტი ვერ უპოვეს. ეს ქალი სომეხია და თავის საკუთარი სახლებიცა აქვს ტფილისში, ეკატერინა მარტიროზის ასული პ—ვისა. პ—ვისა იმავე დღეს ჟანდარმებმა ქალაქის პოლიციაში გამოგზავნეს და სადამოზე გაანთავისუფლეს, რადგანაც არ ახსოვდა სად მიეცათ მისთვის ეს ყალბი ფული. ეს საქმე სასამართლოს გამომძიებელს გადაეცა. ყალბ სამმანეთიანების გარდა ამ უკანასკნელს დღეებში მრავალი ყალბი აბაზიანი და შაურიანი აღმოჩნდა.

## ფელეტონი

### დროთა ბრუნვა

შემდეგი*)

V გამოსვლა

იგინივე და მელო

შემოვა და შორი-ახლოს დაჯდება

თამ. ბრასლეტი რატო არ გაგიკეთებია მაჯაზე?

მელო. სხვის ბრასლეტს როგორ გავიკეთებ მაჯაზე?

თამ. ნუ მიჭკრამ, აასრულე, რასაც გიბრძანებენ! შენმა თავის გახეთქამ, ძალიან დაიპრანჭე, მე ვიცი ზანდუკები თვალ-მარგალიტით სავსე გაქვს; შე ოხერო, შენი ძმისა არ იყოს, აგიწევია ცხვირი და შენი თავი ხელმწიფის ცოლი გგონია, ერთი საცოდავი კუდა-თავადიშვილი-კი ხარ. საცაა იალალაშვილები უნდა მოვიდნენ, მეემზადე, ბრასლეტი გაიკეთე მაჯაზე, ასიამოვნებ ამით.

მელო. იმათი სიამოვნება ჩემთვის სრულებითაც საჭირო არ არი.

თამ. შენ სიამოვნებას არავინა კითხულობს, საქმე ჩემი სიამოვნებაა! დღეს მოვლენ პასუხის შესატყობლათ. ფორმის გულისთვინა შერებიან, რასაკვირველია, თორე აქ რა პასუხებია საჭირო? ერთი სიტყვით დღეს შენ იმისთანა ბედნიერებას მეეწევი, რო მთელი ქვეყანა დაგნატროდეს. შენც, უეჭველია, შენებურ ჰკვას გამაიჩენ, ასიამოვნებენ დედ-მამასაც და მამავალ ნათესავებსაც. გესმის, რასაც გეუბნები?

მელო. მესმის.

თამ. ბევრი ლაპარაკი უადგილო იქნება. აშკარაა, გუშინდელი ნაბოდვარი დაგვიწყებია, ჰკვაზე დამდგარხარ. აბა შენ იცი, როგორც პოლიტიკურათ მაიქცევი. იცი, რა უზომო ბედნიერება მოგელის? ღვთის წყალობას ღირსნიც არა ვართ! რას გაჩუმებულხარ, თქვი რამე?

მელო. რა მაქვს სათქმელი? შენ ისე გადაწყვეტილათა ლაპარაკობ, რო მე ხმა არ ამომეღება. ან რა საჭიროა? გუშინ საკმარისად ვიგრძენ შენი ნათქვამი, თავის დღეში არ დამავიწყდება.

თამ. დროა ჰკვა ისწავლო, პატარა ხო არა ხარ? როგორ არ გამელანძღე, როცა ამისთანა ილბალს ხელიდამ უშვებდი? მაიცა, შვილო, ბევრჯელ მამიგონებ შენ სიცოცხლეში მადლიერ გულით! წადი გაიკეთე მაჯაზე ბრასლეტი!

მელო. არა, მამაჩემო, მე ხელზე ბრასლეტს ვერ გავიკეთებ.

თამ. რატომაო?

მელო. იმიტომა რო ჩემი არ არი და არც მიყვარს მაჯაზე ბრასლეტის ტარება.

თამ. ნუ გამაჯავრებ, კაცი კაი გუნებაზე ვარ. რასაც შენზე ჰკვიანი გირჩევდეს, გაიგონე. ბრასლეტი შენი კუთვნილებაა, მე კიდე მსურს, რო მაჯაზე იქონიო დღესა. ან რა ჰკვა არი, არ გინდოდეს, მეეწონო შენ საქმროსა?

მელო. ჩემ საქმროს ბრასლეტით თავს ვერ მოვაწონებ; პირ-იქით, სხვისი ნივთი რო შამამჩნიოს ხელზე, იწყენს.

თამ. ვინ სხვისი, რა სხვისი? ნუ იცი გადარეული ლაპარაკი!

მელო. მამაჩემო, მე ჩემი თავი თავის დღეშიაც მასხარად არ მიმაჩნია და არც გავწევ მასხარაობას. ტყუილი იმედი იქნება,—მე გიორგის მეტს ვერავის ვერ მივთხოვდები, თუნდა ქვეყანა გადაბრუნდეს.

თამ. (წამოიწევს) ხმა ჩაიკმინდე! ვინ მოგცა ნება, რომ იმ საძაგლის სახელს ჩემ წინ ახსენებ?

ბაბე. თამაზ, თუ როდისმე გქონია ჩემი პატივისცემა, დაწყნარდი, ცოტა მაითმინე!

მაია. ნუ გაჯავრდები, გეთაყვა, კნიაზო, ჯავრი შენი საქმე არ არი!

თამ. ხმა ჩაიწყვიტე-მეთქი! რასაც გიბძანებ, უნდა ასრულდეს. იმ გლახის სახელი-კი ჩემ წინ მეორეთ აღარ გაბედო და წამოთქო,—გესმის?

მელო. არ შამიძლიან, არა, არა... (მიდის)

თამ. დადექ, ფეხი არ მაიცვალო!—აი, საცაა მოვა სოლომანა თავის ვაჟით პასუხის გასაგებად და შენ გამოუცხადებ, რასაკვირველია, რო გიგოს მეტი თავის დღეში არც არავინ გყვარებია და არც გეყვარება; ის უსვინიდისო მუხანათი-კი ეზოშიაც არ შამოვა — გესმის?

მელო. (მუხლში ჩავარდება) მამავ, ნუ გინდა ჩემი უბედურობა; ტყუილათ გაწყვეინებ,—არ შამიძლიან გიორგიზე უარი ვთქო, თუნდ ვკვდებოდე!

თამ. (დაიღრიალებს) ჩუმათ ეგდე! უკანასკნელად გიბძანებ, რომ იმისი სახელი ჩემ წინ არ ახსენო, თუ ჩემი გაჯავრება არ გინდა!

მელო. (ადგება) მამაჩემო, არ მინდოდა შენი წყენა, მაგრამ უნდა გაიგო, რო მე, რო ვკვდებოდე, იალალაშვილს არ მივთხოვდები! (გავარდება)

თამ. დაიცა, შე წყეულო! (მიიწევს)

ბაბე. თამაზ, დაცხრი, აგრემც მა-

*) იხ. „ივერია“ № 181 182, 183, 184 185, 189, 190, 194 195 და 190.

*** გუშინ, ამ თთვის 18, დამარხეს ერთი ფეხ-მძიმე ქალი, რომელიც დასაწოლად წასულიყო საბებიო ინსტიტუტში და აქ შეცდომით სასაქმებელ ზეთის მაგიერად კარბოლის სიმჟავე დაულევინებინათ. ამის გამო მელოგინე რამდენსამე ხანს შემდეგ გარდაცვლილიყო. ამ საქმის გამოსარკვევად გამოძიება სწარმოებს.

*** ხუმელაგა (კავკავის მაზრა): წარსულს კვირას, დილით, ის იყო მტრედის ფრად ირაჟრაჟა, რომ ქრისტიანის სოფლიდგან ორი ცხენოსანი თქაფა-თქუფით მოიჭრა სოფლის სასამართლოს კარებზედ და მამასახლისი იკითხეს. იმათის სიტყვით, ხუმელაგაში მცხოვრები ქურდობა-ავაზაკობაში გათქმული გაბათა ქუძიევი წასულა თურმე ქრისტიანის სოფელში (52 ვერსზედ იმყოფება ხუმელაგიდგან) და მოუპარავს ერთი სანაქებო ცხენი. პატრონს მალე გაუგია, გამოსდგომია ეს ორი ცხენოსანი ფეხ-დაფეხ და შესულა თუ არა გაბათა შინ, ესენიც მიჰყოლიან. მამასახლისიც ფიცხლავ მიაჭრა გაბას სახლში, ცხენი ჩამოართვა, ოქმი შეუდგინა და გაგზავნა ყარაულით მაზრის უფროსთან.

*** გაზ. „Нов. Обоз."-ეს აუწყებენ ასტრახანიდგან, რომ გიორგი ჩიჩუას, რომელიც ამ რამდენისამე წლის წინად გამოიგზავნა სასტუმრო „საქართველოში" შემთხვევე უბედურების გამო, ასტრახანის ნაგუბერნატორალის ი. ვიაზემსკის შუამდგომლობით, დანაშაული ეპატია და ჩქარა დაბრუნდება ისევ თავისსავე სამშობლოში.

---

### ქსნის ხეობა *).

II

ქსნის ხეობაში *) ირიცხება სულ 16 სამამასახლისო; ყველაზე დასახლებულს სამამასახლისოში 300 კომლზე მეტი არ ითვლება. არიან იმისთანანიც, სადაც 60 კომლზე მეტი არ არის. სამამასახლისოების სიპატარავისა და სიღარიბის გამო ყოვლად შეუძლებელია იქონიოს კაცმა რიგიანი სასოფლო მმართველობა. სოფლის სასამართლო ძალიან ძვირად ჰბჭობს, ზაფხულში კიდევ არჩევენ როგორმე რომელისამე ძველის მუხის ტოტების ქვეშ დავიდარაბის გარჩევას, მაგრამ ზამთრობით ათასში ერთხელ იკრიბებიან მოსამართლენი. სამამასახლისოებს საშუალება არა აქვთ, გაიკეთონ რიგიანი კანცელარია, დაიქირაონ შეგნებული მწერალი, იყიდონ წიგნები განაჩენთა და პირობათა ჩასაწერად და სხვ. ამის გამო რამდენიმე სამამასახლისო ჰქირაობს ერთს მწერალს, რომელიც არხეინად ბრძანდება თავის სახლში და ათასში ერთხელ თუ გაისჯება ხოლმე. ამისთვისაც არის რომ, კაცს რომ დასჭირდეს რომელიმე ცნობა სოფლის განაჩენის შესახებ, ვერას იპოვის. სოფლის სამართლის განაჩენს მწერალი სწერს, სჯა და ბაასის მიხედვით-კი არა, არამედ როგორც თვით მომჩივან-მოპასუხე ჩასჩურჩულებს ყურში. შემდეგ ამ გვარად შეთითხნილს განაჩენს გაუგზავნიან მოსამართლეებს და ისინიც ბეჭდებს დაასმენ.

სამწუხაროდ ქსნის განყოფილების სოფლის მოხელეებს არ ეყურებათ, რა დიდი მოვალეობა უდევიათ კისრად, რა სიკეთის მოტანა შეუძლიანთ, რიგიანად რომ ეკიდებოდნენ საქმეს. ბევრი ჩიჩინი და ჩაგონებაა საჭირო, რომ საქმე წესიერად მიდიოდეს. სამამასახლისოები რომ შეძლებულები იყვნენ, შეიძლებოდა მამასახლისად, ნაცვლებად და მოსამართლებად დაყენება სინიდისიანი და გონება-განვითარებული კაცებისა. ეს მით უფრო საჭიროა, რომ სოფლის სამართალი იქვე კარ-წინ არის და შორს ხეტიალი აღარ მოუნდებათ, რაიცა დიდად საზარალოა ხელმოკლე გლეხისათვის. თვით კეთილშობილი წოდებაც-კი არჩევს ხოლმე ხშირად და თავიანთი დავი-დარაბას გლეხებთან სოფლის სამართალს მიანდობს. ხელ-წერილსაც აძლევენ, რომ თანახმა ვართ სოფლო სასამართლოს გადაწყვეტილებასაო.

სამამასახლისოებს რომ შეძლება მიეცეთ და რიგიანი მწერლები დაიქირაონ, გაიჩინონ ყველა საჭირო წიგნები, უსათუოდ პატარ-პატარა სამამასახლისოები უნდა შეერთდნენ სამ დიდ სამამასახლისოდ. ერთი იქნება ახალგორისა 986 კომლით, მეორე მონასტრისა, ანუ ქსნისა 818 კომლით და მესამე ლეხურისა 684 კომლით. მხოლოდ მაშინ შეიძლება რიგიანად მოეწყოს სოფლის გამგეობა და სისრულეში იქმნას მოყვანილი ერთი საუკეთესო რეფორმათაგანი წარსულის მეფობისა.

საჭიროა მიექცეს ყურადღება აგრეთვე ერთს გარემოებას: მეტის-მეტად ბევრი ბეჭდები აქვთ დარიგებული სოფლის მოხელეებს. ხშირად ხდება უვიცობის გამო, რომ მამასახლისის ბეჭედი მოსამართლესა აქვს და ამისი-კი მამასახლისს. ძალიან კარგი იქნება, რომ ამოდენა ბეჭდების მაგიერ ერთი იყოს სოფლის გამგეობისა და მოხელეებს-კი შტემპელები ჰქონდეთ სახელ და გვარ ამოჭრილი. შემდეგში, როცა სხვა მოხელეს დააყენებენ, ადვილია ძველის სახელისა და გვარის ამოფხეკა და ახლის ჩაწერა. ამითი შეუმცირდება სოფელს ხარჯი, თორემ ეხლა თითო ბეჭედი ღირს სამი მანეთი და სრულიად მეტ ბარგს შეადგენს სოფლისათვის.

წინად სოფლის მოხელეებს დიდის ამბით ირჩევდნენ. მომრიგებელი შუაკაცი, მაზრის უფროსი, ბოქაულები, ადგილობრივი მემამულენი იკრიბებოდნენ და ისე არჩევდნენ მოხელეებს. სოფლელი კაცი, ამის მნახველი, საგონებელს ვარდებოდა და დიდი გავლენაცა ჰქონდა იმაზედ ამ გარემოებას. ეხლა-კი ძველი ჩვეულობა ლამის გადავარდეს. საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

*) იხ. „ივერია" № 197.

*) აქ უნდა იგულისხმებოდეს მთლად ქსნის ხეობა-კი არა, არამედ ქსნის საადმინისტრაციო განყოფილება. რედ.

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

რუსეთში ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა. მთავრობამ უკვე საბოლოოდ გადასწყვიტა, რომ მოსკოვში არსებული პეტრე-რაზუმოვის აკადემია — ეს ერთად-ერთი უმაღლესი სამეურნეო სასწავლებელი სრულიად დაჰხუროს. მხოლოდ ეხლანდელს მეოთხე კურსზედ მყოფ სტუდენტებს, გამოურიცხველებს, საშუალება მიეცემათ სწავლის დამთავრებისა, ახალს მოწაფეებს აღარ მიიღებენ და ამითი მოედება სასწავლებელს ბოლო. ეს ფრიად სამწუხარო ამბავი ზოგიერთს რუსეთის რეტროგრადსა და ცრუ კონსერვატორებს ძალიან ესიამოვნათ და განსაკუთრებით-კი გაზ. „Гражданинъ"-ის რედაქტორი მეშჩერსკი აღტაცებაში, თუმცა თითონ მასვე აშინებს ეს გარემოება და გულს იმითი იკეთებს, რომ

რაღა თქმა უნდა, ამ აკადემიის დახურვით უარ-ყოფილი არ არის ყოველივე უმაღლესი სამეურნეო სასწავლებელი, მხოლოდ ცოცხლებში გამოკლებულია ისეთი სასწავლებელი, რომლის რამდენისამე წლის არსებობამ აშკარად დაამტკიცა იმისი უვარგისობა და იმედი არაფრით გაგვიმართლდა. ეს საქმე წინად ცუდად მოიფიქრეს და ცუდად შეიმუშავეს, და აქედგან-კი სრულიადაც არ დაისკვნება ის, ვითომ-და რუსეთისათვის საჭირო არ იყოს კარგი სააგრონომიო სასწავლებელიო. თუ პირველი კოჭი არ დაჯდა ალჩუს, იქნება შემდეგ წავიდეს საქმე რიგიანად და სასურველად მოეწყოს. რამდენადაც შევიტყვე, ამ აზრისაა თვით მთავრობაც. ახლა კვლავ დაიწყებს სჯასა და თათბირს ახალი კომისია, რომელსაც აზრად აქვს შეადგინოს ახალი პროექტი სამეურნეო სასწავლებლის კურსისა და ეს საგანი შემდეგ ისე შეიმუშაოს, რომ ამ თავითვე რიგიანი თავი გამოაბას საქმეს. კომისიაში, რაღა თქმა უნდა, ბევრი სხვა-და-სხვა გვარი აზრი წარმოითქმის ამ საგნის შესახებ. ამ აზრთა შორის ერთი უფრო მისაღებია სათვალავში, ჩემის აზრით. ეს აზრი ის არის, რომ განსაკუთრებული და განკერძოებული სამეურნეო სასწავლებელი საჭირო არ არის, რადგან ძნელად მოსახერხებელია იმის სასურველად მოწყობა, ამიტომ უმაღლესი სასწავლებელი ორ ნაწილად უნდა იყოს გაყოფილი: თეორიულ და პრაქტიკულ ნაწილად. პირველი ნაწილი უნივერსიტეტის ფაკულტეტისავით იქნება, ხოლო მეორეკი იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ მოსწავლეებმა მეურნეობა პრაქტიკულად შეისწავლონ და მამულებში იმუშაონ. ეს ფრიად მოსაწონი აზრი მხოლოდ მაშინ განხორციელდება, თუ ზემოხსენებულ საუნივერსიტეტო ფაკულტეტს გარდა, დაარსებული იქნება აგრეთვე რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილში საშუალო პრაქტიკული სამაგალითო სამეურნეო სასწავლებლები, რათა მოსწავლეებმა ერთსა და იმავე დროს შეისწავლონ თეორიულადაცა და პრაქტიკულადაცაო.

თუ ეს მთავრობის აზრი განხორციელდა და რიგიანი და აწინდელზედ უკეთესი სასწავლებელი დაარსდა მეურნეობისა, თ. მეშჩერსკის პირს შაქარი, მაგრამ განა არ შეიძლებოდა, რომ უკვე არსებული აკადემია გადაკეთებულიყო და ისე მოწყობილიყო, რო[მ] ეხლანდელი აზრი განხორციელ[ებუ]ლიყო? საკითხველია ისიც, თუ [რა] ეშველებათ ეხლა ამ გასაუქმებე[ლი] აკადემიის თუნდა გამოურიცხვე[ლ] პირველ, მეორე და მესამე კუ[რ]სის სტუდენტებს?!.

---

## რუსეთი

ამ ჟამად პეტერბურგში ხმა დადი[ს], რომ ცალკე სამინისტრო უნდა დ[ა]არსდეს სასოფლო მეურნეობისა[თვის]. ეს ხმა იმან გაავრცელა, რომ შინა[ა]გან საქმეთა სამინისტროს მიერ და[]ნიშნულმა ცალკე კომისიამ, რომელ[]საც უნდა გამოეკვლია მიზეზი მი[წ]მოსავლის ფასის დაწევისა, საჭირო[დ] სცნა და მართლა შეადგინა პროექ[ტი] სასოფლო მეურნეობის ცალკე სამი[]ნისტროს დაარსებისა. ყოველს ლო[]ნის ძიებაზე უსაჭიროესად სასოფლო მეურნეობის გასაუმჯობესებლად და ასაყვავებლად კომისიამ ცალკე სამი[]ნისტროს დაარსება ჩა თვალა. ა[მ] ახალს სამინისტროს, პროექტის აზ[]რით, უნდა დაექვემდებარებაროს ყვე[]ლა სახელმწიფო დაწესებულება, რო[]მელიც-კი ამ ჟამად სასოფლო მეურ[]ნეობა, ან გამგე ან მფარველი და და[]მხმარებელია. ამ პროექტის შესახ[ებ] ჯერ სხვა-და-სხვა უწყებამ უნდა წარ[]მოსთქვას თავისი აზრი და შემდე[გ] საბოლოოდ განსახილველად და და[]სამტკიცებლად სახელმწიფო საბჭო[ს] წარედგინება მომავალს სესსიაზე. არ[ც] ერთს უწყებას ჯერ-ჯერობით წინააღ[]მდეგი არა უთქვამს-რა სასოფლო მე[]ურნეობის ცალკე სამინისტროს და[]არსებაზე, მაგრამ მხოლოდ ყველა[ს] ეძნელება-კი იმის გადაწყვეტა, რასა და რას უნდა განაგებდეს ახალი სამინი[]სტრო, სად უნდა იწყებოდეს და სა[დ] უნდა თავდებოდეს ასპარეზი მისი მოქმედებისა, მით უმეტეს, რომ და[]არსდება თუ არა ეს სამინისტრო, რამდენიმე დეპარტამენტი და დაწესე[]ბულება უნდა მოსწყდეს სხვა-და-სხვა სამინისტროს და ამას დაექვემდება[]როს.

— 1891 წელს 50 წელიწადი შე[]სრულდება მას აქეთ, რაც გამოჩენი[]ლი პოეტი რუსეთისა ლერმონტოვი გარდაიცვალა, და გაზეთებმაც დაიწ[ყეს]

---

მიკვდება თავი და ნუ შაევსწრობი დღევანდელ სალამოს!

მაია. (დაიჭერენ) დამშვიდდი, ყმაწვილო, ნუ ჯავრობ, გენაცვალოს ჩემი თავი!

თამ. ენახოთ, როგორ იტყვის უარსა, სიკვდილი ერჩივნოს უარის თქმას!

ბაბე. თამაზ, ერთი კიდე მაიფიქრე, ნუ ინდომებ ოჯახის უბედურობას!

თამ. მამწყდი თავიდამ! იცი, შე ბალღზე უფრო ბალღო, მაგის უარი რა სილატაკეში ჩაგვყრის? აბა ერთი მაიკრიფე შენი დედაკაცური ჭკვა, თუ კი ამისთანა ჭკვა სადმე ყოფილა, და გაიგე ის უბრალო ანდაზა, რო ცარიელი კუჭი მშიერი თაგვივითა წივის და თუ არ აამსე როგორმე, თავის თავს შასჭამს? შე უბედურო არსებავ, აბა ერთი გამაგებინე, საიდამ რა შამოგვივა? ვაი, მართლა, რა დედა-ბერი ხარ: ქვეშ რა გეტლაკუნება, ზედ რა გექლარუნება? ვნახამ, რა უარს იტყვის: მაშინ ურჩევნია ცოცხალი არ დამენახოს! (გადის)

VI გამოსვლა

ბაბე, მაია, მერე სოლო

ბაბე. ვაი, ოჯახო დაღუპულო! მოვიფიქრებდი როდისმე, თუ ამ დღეში ჩავვარდებოდი? ნეტავი კეთილად დაღამდეს დღევანდელი დღე! მაი, მაი, გული ძალზე ცუდათა მტეხს, უბედურობას მეუბნება...

მაია. კარგი, ქალო, შენც ნუ იცი უწმაწურათ მოთქმა! მამა-შვილნი არიან—წაიჩხუბებენ კიდეც, შარიგდებიან კიდეცა. ყოველთვინ ტკბილი ქცევა კაცს მოსწყინდება. იცი, ქალო, რა? მოდი მე წავალ იალალოშვილთანა და ვეტყვი, რო დღეს არ მოვიდნენ აქ, მელოს ავადმყოფობას მოვიმიზეზებ,—ჰა, შენ რას იტყვი?

ბაბე. ტყუილია,—თითონ წავა და მაიყვანს, ტყუილად დაიმდურებ.

მაია. ან კიდე, უამბობ ყველაფერსა და ვეტყვი, რო თითონ მაიცადონ ერთი ორიოდე კვირა; თამაზს კიდე ისე უთხრათ, ასე გონია თითონ მაინდომეს.

ბაბე. ტყუილია, მაი; სოლომანა რო ყაბულს იყოს, ის სალახანა უარზე დადგება,—რას ამობ? ან განა თამაზი მაიცდის? ეჰ, მაი, არ აგვცდება უბედურობა, ვგრძნობ, არ აგვცდება!

მაია. მაკვირვებს, ღმერთმანი, შენი ქცევა: ეს რაღა უბედურობა დაგინიშნია; უსიამოვნობა მაინცა თქვი!

ბაბე. უბედურობა, მაი, უბედურობა! (ტირის)

სოლო. (შამოდის) ღმერთო, მოგვე გოროხი, აღარ გვინდა ტალახი!—რა იყო თქვე ცხონებულის შვილებო, არ დაგიშრათ აქამდინ ცრემლი? საკვირველი აგებულება აქვს დედაკაცსა, ჩემმა მზემ: ტირის მთელი კვირა და ერთხელაც არ დააკლდება ზაპასი!

ბაბე. (მივა) გენაცვალოს დედა, შვილო, წადი ამ სახლიდამ, თუ ერთი ბეწო ჩემი სიყვარული კიდევ შაგრჩომია; გაბრაზებულია, აღარაფერი აღარ გაიჩნია, მოშორდი, აგრემც თავს შამოგევლები!

სოლო. ცოტა სალაპარაკო მაქვს მამაჩემთან, მამაჩემთან-მეთქი, კნიაზ თამაზთან; თუ შეიძლებოდეს, სთხოვე, მიხილოს თავისი ბრწყინვალე თვალებით.

ბაბე. გენაცვალოს ჩემი თავი, სოლო, წადი აქედამ, მოშორდი აქაურობას, თორე ერთი რამ უბედურობა დატრიალდება!

მაია. წადი, გაუგონე დედას; მამა ეხლა შინ არი და ძალიან ცუდ გუნებაზედაც არი; იმ დროს შამაიარე, როცა შინ არ იყოს.

სოლო. რას ამობ, ადამიანო, ისეთი საქმე მაქვს კნიაზთან, რო მოცდა არ შამიძლიან!

ბაბე. (დაუჩოქებს) შვილო, დედაშენი მაინც შაიბრალე!

სოლო. (აყენებს) აბა, დედი, რასა შვრები, მაგისთანები როგორ შაიძლება!

ბაბე. წადი, აგრემც თავს შამოგევლები და წამლათ წაგეცხები, ეხლავე გამოვა, მოშორდი, შვილო, მოშორდი!

მაია. ნუ აწყენინებ დედას, შვილო, ერთი ბეწო დედის პატივის ცემა როგორ არა გაქვს?

სოლო. თქვენ იქით ოთახში გადით, ჩემი საქმისა მე თითონ ვიცი. ტყუილი ლაპარაკი იქნება! სანამ არა ვნახამ კნიაზ თამაზსა, მე აქედამ ფეხს არ მოვიცვლი; თქვენ წადით, საჭირონი არა ხართ. დედი, შენ დამშვიდებული იყავი, არაფერი მოხდება; მინდა მხოლოდ, ცოტა რამ საქმეზე მოველაპარაკო. იმედი მაქვს, იმოდენა პატიოსნება მაინც კიდე შარჩებოდა, რომ ადამიანური ლაპარაკი შაიძლოს?

ბაბე. შვილო, ღმერთმა გაპატიოს ჩემი წყენა,—სხვა რა ვთქვა?

მაია. გაუგონე დედას, აგრემც ღმერთი მამობას გაღირსებს!

სოლო. თქვენ თქვენთვინ იყავით; გადით მეორე ოთახში, მე მინდა მამაჩემს ცალკე მოველაპარაკო. წადით, რაღასა დგეხართ!

ბაბე. ნუ გამაგდებ მაინც; აქ ვიქნები, შვილო, არ დაგიშლი ლაპარაკს.

სოლო. შენი ნებაა, მხოლოდ საუსიამოვნო ჩვენ ლაპარაკში არა იქნება. აგე მობძანდება კნიაზი!

VII გამოსვლა

იგინივე და თამაზი

შემოვა, რამდენიმე ხანი ეს და სოლო ერთმანეთს ჩუმად უყურებენ.

თამ. შენ, ყმაწვილო, როგორც

ყეს ამ საგანზე ლაპარაკი. „Русск. Вѣд.“ ამბობს, რომ დროა საქმეს შევუდგეთ და შესაფერი ძეგლი აუგოთ. ლერმონტოვი დასაფლავებულია პენზის გუბერნიის ჩემბარის მაზრის სოფელს ტარხანაში, სადაც პოეტმა თავის სიყმაწვილე გაატარა. საფლავზე პატარა ნიშია გაკეთებული, რომელიც თანდათან ძველდება და ფუჭდება. ნიშში წიგნი დევს, რომელშიაც ჩაეწერებიან ხოლმე მოსული მოგზაურები. ლერმონტოვი მეტის ღირსია, ამბობს გაზეთი, დროა ამ თავითვე ვიფიქროთ და გავამშვენიეროთ იმის საფლავის უბრალო მატური.

— მთავარი გამგეობა საპატიმროებისა აპირობს, იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ პატიმარ ქალების წკეპლებითა და მათრახით დასჯა გადავარდეს და სხვა სასჯელი იქმნას შემოღებული. თვით გამგეობას შემდეგი კანონები ჰსურს შემოიღოს: თუ გადასახლებული დამნაშავე ქალი ისეთს დანაშაულს ჩაიდენს, რომლისთვისაც ან წკეპლებითა და ან მათრახით დასჯა ეკუთვნის, ამ სასჯელის მაგიერ კუნძულ სახალინზე უნდა გაიგზავნოს. თუ დამნაშავე ქალი უკვე გადასახლებულია სახალინზე და იქ ჩაიდენს ამ გვარს დანაშაულს, მაშინ წკეპლისა და მათრახების მაგიერ უნდა ცალკე ოთახში დაიმწყვდეს იმდენის ხნით, რომ მათრახის თითო დარტყმაზე 10 დღე მოსდიოდეს და წკეპლებისაზე—2 დღე.

— ბუზულუკის მაზრის სოფელ ლიუბიმოვკაში შემდეგი ამბავი მომხდარა: ერთს გლეხს, რომელიც წინად შეძლებული ყოფილა და თავისი დუქანიცა ჰქონია, ხოლო ამ ჟამადკი ისე გაღარიბებულა, რომ სხვის მოწყალეობითა სცხოვრებს თურმე, ცოლი ავად გაჰხდომია და სიკვდილის პირად მიწეულა. ქმარი ძალიან დაღონებულ-დაძმარებულა, რადგან არ იცოდა თურმე, ცოლი რომ მოჰკვდომოდა, საიდგან რა ეშოვნა და რით ეყიდნა ან კუბო, ან წასახურავი და ან სანთლები. მჯდარა ამნაირად დადარდიანებული მომაკვდავ ცოლის გვერდით და ფიქრობდა თურმე, აი ხაცაა სულს დალევსო. უცებ წამოვარდნილა ქალი, წაუვლია ხელი თავის პალტოსთვის და თავქვეშ დაუწყია მალვა. რამდენიმე წამიც გასულა და კიდეც გარდაცვლილა. როდესაც ცხედარი გასაბანად გადმოუღიათ ტახტიდგან, ქმარს აუღია ქალის პალტო და სინჯვა დაუწყია. ერთს ადგილას საკერებელი დაუნახავს და გაჰკვირვებია, ახალს პალტოს საკერებელი რად უნდაო. გაურღვევია და 1,500 მან.-კი ყოფილა ჩაკერებული. დარდი მაშინვე გადაჰყრია, ქელეხი მშვენიერი გაუმართავს, მოწყალეობისთვისაც თავი დაუნებებია და ფიქრობს თურმე ხელ-ახლად დუქნის გაღებას.

## უცხოეთი

გერმანია და ავსტრია. ამას წინად გერმანიისა და ავსტრიის იმპერატორებმა ერთმანეთი ჰნახეს. აი ამის შესახებ გაზ. „Daily News“-ი ამბობს, რომ ორმა იმპერატორმა ჰნახეს ერთმანეთი და გადაჰკოცნეს, თითქოს სადავო სულ აღარც-კი არსებულიყოსო! ორივე იმპერატორი გულით იმას არიან მოწადინებულნი, რომ წინ აღუდგნენ და შეაფერხონ რუსეთის ევროპაში გაძლიერება და წაწევა, ხოლო ავსტრიისათვის-კი ამაზეა დამოკიდებული სიკვდილ-სიცოცხლე. სამთა კავშირის არსებობაზეა დამოკიდებული თავისუფალი განვითარება და კეთილდღეობა სამხრეთ-აღმოსავლეთის ევროპის სახელმწიფოებისაც და მაშასადამე ისინიც ამ კავშირს უნდა ემხრობოდნენ. დღით-დღე უფრო შესაძლებელი ჰხდება, რომ ბალკანიის ნახევარ კუნძულზედ მყოფ სახელმწიფოთა კონფედერაცია შესდგეს და ამით ბოლო მოეღოს აღმოსავლეთის საქმეს. სრული საფუძველი გვაქვს ვიგულისხმოთ, რომ პაწია სახელმწიფოები, მაგალითებრ, საბერძნეთი, რუმინია და ბოლგარია, ერთმანეთს მხარს მისცემენ და როგორც თავის მოვლა შეიძლეს, ისე დაცვასა და დაფარვასაც შეიძლებენ.

საფრანგეთის გაზ. „Post“-ი ამის შესახებვე ამბობს, რომ გერმანიისა და ავსტრიის იმპერატორებს განზრახვა აქვთ მიიმხრონ საფრანგეთი და სამთა კავშირში ჩაიყოლიონო. ამ გაზეთის ბრესლაველი კორესპონდენტი სწერს, რომ ორივე იმპერატორმა დიდხანს ისაუბრეს საფრანგეთის შესახებაო. როგორც ვიცით, გერმანიის ახალგაზდა იმპერატორი ყოველის ღონითა სცდილობს, შეიკავშიროს რუსეთი, ხოლო ავსტრიის იმპერატორი-კი იმას არის მონატრული, რომ საფრანგეთი დაიახლოვოს. იგი იმ აზრისაა, რომ თუ საფრანგეთი სამთა კავშირს მიემხრო, თანასწორობა ჩამოვარდება სახელმწიფოთა შორის და ეს გარემოება წინდად გაუხდება მშვიდობიანობის დაცვის საქმესაო. იმპერატორი ფრანც-იოსები სცდილობდა თავისის აზრისკენ დაეყოლიებინა გერმანიის იმპერატორიც და მთელი საათ-ნახევარი უხსნიდა, რომ აი, ამადა-ამ მიზეზისათვის არის სასურველი საფრანგეთის ჩვენთან შეიოკავშირებაო და, როგორც ამბობენ, დაიყოლია კიდეც იმპერატორიო.

## წვრილი ამბები

პარიჟის ჟურნალ-გაზეთებს ერთი შესანიშნავი ორგანოც მიემატა ამ ჟამად სახელად „Antiegoiste“, რომელსაც „ალტრუისტთა“ ამხანაგობა სცემს. ეს ამხანაგობა, თუ საზოგადოება, დაარსდა შარშან სამს ნოემბერს და საგნად ისა აქვს, რომ ყოველივე ღონე იღონოს და მოყვასთა შორის სიყვარული გაავრცელოს და დაამკვიდროს. ამ საზოგადოებას ჰსურს კაცობრიობა განაახლოს ფიზიკურად და ზნეობრივ, გაადვილოს ბრძოლა არსებობისათვის და საყოველთაო ძმობა დაარსოს. ამისათვის „ალტრუისტები“ ცდილობენ, რომ სიკვდილით დასჯა, დუელი და სხვა ამ გვარი მავნე და სასტიკი კანონი და ჩვეულება მოსპონ; ამასთანავე დაუღალავად ებრძვიან სარწმუნოებას, უოკვე გვარს დასაკუთრებას რაისამე საქმისას და უნდათ, რომ მდედრთა სქესსაც იგივე უფლება და თავისუფლება მიანიჭონ, რაც მამაკაცებსა აქვთ. „ალტრუისტებსავე“ ჰსურთ დააკანონონ, რომ კანონიერს ქორწინებასთან ერთად „თავისუფალი სიყვარულიც“ არსებობდეს ხალხში. ამ საზოგადოების წევრნი ორ დასად არიან გაყოფილნი. ერთი მათგანი პრინციპიალურს ქადაგებას უნდება, მეორე-კი ამ აზრების განხორციელებას ემსახურება.

— ამას წინად ჩრდილოეთ იტალიის ქალაქ კარამანიკოში დიდი არეულობა მომხდარა. 600-მდის შეიარაღებული გლეხი დასცემია საქალაქო სახლს, მიუნგრევ-მოუნგრევია იმის არხივი და რაც რამ ქაღალდები ყოფილა, სულ ქუჩაში გადმოუყრია და მიუხკვ-მოუხკვია. შემდეგ გაუტეხიათ კასსა და სრულიად გაუცარცვავთ. დეპეშით შეუტყობინებიათ ეს ამბავი კიეტში და იქიდგან ჯარი მოუშველებიათ მეამბოხეთა დასამშვიდებლად. მოსულა თუ არა ჯარი, ხალხი მაშინვე გაფანტულ-გამოფანტულა. მიზეზი არეულობისა ისა ყოფილა, რომ რაღაც ახალი ხარჯი შემოუღია ქალაქის გამგეობას და უმისოდაც შეწუხებულ-შევიწროვებულს გლეხებს შეძლება არა ჰქონიათ გადახდისა.

— საფრანგეთის ჩრდილოეთ რკინის გზაზე 12 ვაგონ მობმულმა ორთქლმავალმა სცადა და დაამტკიცა, რომ საათში 120 ვერსის გავლა შეიძლებაო.

— ამერიკის ქალაქ ოტტუნავაში ერთი უზარმაზარი სახლი აუშენებიათ პიტალო ქვისნახშირისა. სახლს მრავალი კოშკი ჰქონია დატანებული ერთი თეატრიც 6000 კაცისათვის. კოშკებსა და თეატრს გარდა კიდევ მადნის მღვიმეებიც ჰქონია მოწყობილი, რომლის სანახავადაც უფრო მეტი ხალხი მიდის თურმე.

— კანადის ქალაქ მონრეალში კოცნა აღკრძალულია თურმე კანონით და ამ კანონის დამრღვეველისთვის სასჯელიც ყოფილა დაწესებული. ამასწინად ახალგაზდა ინგლისელი გორდონი დანიშნულა კანადის მცხოვრებელის ქალზე და ერთხელ ბაღში წაუყვანია სასეირნოდ. სეირნობის დროს ახალგაზდა დანიშნულები გადაეხვივნენ თურმე ერთმანეთს და დაჰკოცნეს. მაშინვე გაჩენილა პოლიციის მოხელე და ორივესთვის დაუპირებია პოლიციაში წაყვანა. ამხანაგები წაჰქომაგებიან გორდონს და რის ვაი-ვაგლახით გადაურჩენიათ დატუსაღებისგან. პოლიციის მოხელე არ დამცხრალა, საჩივარი შეუტანია სასამართლოში და დანიშნულებისთვის ჯარიმა გადაუხდევინებიათ. საქმროსთვის—25 მან. და ქალისთვის-კი 20 მან.

— ნორვეგიის ქალაქ გარდანგერში დაუკანონებიათ, რომ ქალს ნება არა აქვს გათხოვებისა, ვიდრე წვრა-კითხვას, ჭრა-კერვას, ქსოვას, ცხობასა და საჭმლის კეთებას კარგა არ ისწავლისო.

— ერთს მოცლილს ანგარიში მოუყვანია გამოუანგარიშებია, რომ ვიდრე კაცი 70 წლისა შესრულდება, იმდენი საჭმელს შესჭამს, რაც 12 ვაგონში ჩაეტევაო.

— მექსიკის გაზეთები მოგვითხრობენ, რომ ორმა ავფიცერმა ზარბაზნებით გამართეს დუელიო. ბრძოლის დროს 500 ნაბიჯის სიშორეზე დამდგარან ერთი-ერთმანეთზე და ისე დაუწყიათ დუელი. ერთი ამ აფიცერთაგანი სულ ლუკმა-ლუკმა დარგლეჯია ზარბაზანსა.

— პენსილვანიის ქალაქ როდინგში იმდენი რწყილი გაჩენილა, რომ მცხოვრებლებმა აღარ იციან თურმე, რა ქნან და როგორ მოიშორონ. აფთიაქში რაც რამ რწყილის წამალი ყოფილა, სულ ერთიან გაუყიდნია და ეხლა ვეღარაფრით ვეღარ შეუოკებიათ ეს მაზეზარი მწერი.

## დეპეშა

17 სექტემბერი

პეტერბურგი. საიმპერატორო საარქეოლოგიო საზოგადოებამ თავის წევრად ამოირჩია სერბიის არქიმანდრიტი დუჩიჩი, რომელიც 1877 წ. სერბიის ჯართან ერთად იბრძოდა, შემდეგ ნაპრედნიაკებმა სერბიიდგან განაძევეს იმ მიზეზით, რომ რად თანაუგრძნობ მიტროპოლიტს მიხეილსაო, ხოლო ეხლა ჯაჩის ეპარქიის მმართველად არის დანიშნული.

ტაშკენტი. გუშინ სადილი იყო გამართული ფინანსთა მინისტრის პატივსაცემლად. მინისტრმა სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა, რომ თურქესტანი ძალიან წინ მიდის განვითარების გზაზედ და ამით რუსეთი ფეხს იკიდებს შუა-აზიაშიო.

სიმბირსკი. გუშინ აქაურმა სასულიერო სემინარიამ თავისის არსებობის ორმოც-და-ათის წლის იუბილეი იდღესასწაულა. აქაურმა ეპისკოპოსმა 1,000 მან. შესწირა ამ სემინარიას; ეს ფული მიეცემა უღარიბეს შეგირდს სწავლის დამთავრების შემდეგ.

სამაროვკა. ვლადივოსტოკში ხოლერა სულ ერთიანად მოისპო. იმიერამურის მხარეს კარგი მოსავალია. წყალდიდობამ დიდ-ძალი ნათესობა წაახდინა და ამას გარდა რამდენიმე კაცი იმსხვერპლა.

ბელგრადი. სკუპშჩინაში ამოირჩიეს:

---

ეხედამ, გზა აგრევია, თორე ამ სახლში რა გინდა?

სოლო. უკაცრავოთ, სიბერეს შენთვის ცნობის ნიჭი წაურთმევია, თორე განა შენი ძუარებელი ქონების მემკვიდრეს ველარა სცნობ?

თამ. დაიკარგე ამ სახლიდამ, შე გაუზრდელო ბრიყვო! როგორ შეგიძლიან... მამას როგორ უბედამ? გინდა ეხლავე პოლიციაში დაგამწყვდევინო?

სოლო. რა გაღრიალებს, განა მამიშენის შვილს ელაპარაკები!

ბაბე. შვილო, სოლო, დაუთმე გენაცვა! თამაზ, დაწყნარდი, შაიბრალე ჩემი უბედური თავი!

სოლო. თამაზ, შენთვის მე ბევრი დამითმია, მეტი აღარ შემიძლიან.

თამ. რა გინდა, შე ქაჯო, ჩემგან, გინდა სისხლი გამიშრო, გინდა მოთმინებიდამ გამამიყვანო და თავი შამამაკლო?

სოლო. მოთმინებიდამ ჯერ ხო ერთხელაც არ გამოსულხარ, არა?—ღმერთმა ნუ მაჰამა შენი დაკლული ქათამი. შენ რა ხარ, შენი მოკლული კაცი რა უნდა იყოს!

მაია. კარგია, სოლო, ნუ გავიწყდება, მამას ელაპარაკები!

სოლო. ტყუი, მე მამა არა მყავს და არცა მყოლია ჩემ დღეში!..

თამ. რა გინდა, შე რაზბოინიკო, საჩხუბრად მოსულხარ ჩემთან?

სოლო. ჩხუბი რაში გეკადრება, აბა; მინდა ადამიანურად მოგელაპარაკო, თუ-კი შეგიძლიან ადამიანურად ლაპარაკი. გხედამ, ბრაზი გახრჩობს, მაგრამ ვერა გითქვამ-რა,—იცი, რო არ დაგითმობენ. მეც გირჩევ, დამშვიდებული იყო, იმიტომ რო ვგრძნობ, რო როგორღაც ჩემი თავის ბატონობა დავკარგე,—და ხო მოგეხსენება უბატონობა ამისთანა საქმეში რა ცუდი რამ არი!

ბაბე. თამაზ, შენ მაინც მოშორდი... (ყურს არ ათხოვებენ, ტირის)

სოლო. (დაჯდება) შენც, თუ გინდა, დაჯექი; იქნება ჩვენმა ლაპარაკმა დიდ ხანს გასტანოს, დაიღლები.—ვა, კაცო, რატო ხმას არ იღებ? განა ხმა ჩაგივარდა?

თამ. რა გინდა, რისთვის მოსულხარ?

სოლო. (გადაწვება) რა უცნაურათა კითხულობ,—რა გინდა, რისთვის მოსულხარო,—ასე გონია, ნება არა მქონდეს ჩემ სახლში მოსვლისა?—სულ ერთია! ჰო, საქმეზე მოვედ მეთქი! იცი რა საქმეა?—ის უნდა გკითხო, კნიაზო,—გონზე მოხვალ როდისმე შენ სიცოცხლეში, თუ სრულებით ამისი იმედი დაკარგული გქონდეს?

თამ. შენ... შენ... რა გინდა... გინდა შამამაკლე?

სოლო. შენ ადგილას იყავი, გირჩევ, იმიტომ რომ ჰვინტაკებმა მამიარეს; არ დამიფეთიანო, თორე დამეხვევიან,—მაშინ არც კედრისა მწამს, არც ცოცხლისა.

ბაბე, შვილო, შამიბრალე!

მაია. სირცხვილია, სოლო,—მამას როგორ ელაპარაკები?

თამ. (იხრჩვება ბრაზისაგან) გადი, დაიკარგე აქედამ...

სოლო. ე მაგრე დაბლა ლაპარაკი გირჩევნია, მხოლოდ ზღილობიანი სიტყვა-პასუხი გაკლია,—მაგასაც დღესვე გასწავლი,—ჰო, ყური დამიგდე, რას გეუბნებოდი: ისა გკითხე,—მოხვალ გონზე როდისმე მეთქი, თუ სუ ესეთი ბედოველათი უნდა იყო შენ წუთი სოფელში. იცი რაზე გკითხე ესა, არ იცი? მაშ სრულებითაც არ იცი? არა, იცი-კი, მაგრამ გცხვენიან, გამოტყდე!—თამაზ, სვინიდისი კაი საქონელია, პატიოსნებას ეფიცამ, თუ შენ პატიოსნება კიდევა გწამს! უნდა პირდაპირ გამოგიცხადო: რო შიმშილით ამოწყდეთ, მელო იალალაშვილს არ მისთხოვდება, პატიოსანი ქალი სალახანა მიკიტნის ცოლი ვერ გახდება!—იქნება გგონია, რო თავადობას ვეჰიდები—ჰი, ჰი, ჰი,—არა, თამაზ, სრულებითაც არა, კაი კაცობას ვეკანჭურები, ტიტველა მშიერ პატიოსნებას,—გესმის? ეს უნდა მეთქო. ტყუილად გაირჯებიან იალალაშვილები. რასაკვირველია იმათი სტუმრობა შენთვის სასიამოვნო იქნება, მეტადრე მას შემდეგ, რაც მოწყალების ძლევა დაგიწყეს...

თამ. ჩუმათ ეგდე, შე ღვთის რისხავ... თორე დაგწყევლე...

სოლო. თავს ნუ ივიწყებ, ვის ელაპარაკები,—შენი ამფსონი აქ ვინ არი?..

თამ. მამშორდი თავიდამ, შე სალახანავ... შე კინტოვ...

სოლო. რაც უნდა ვიყო, მაინც მათხოვარა არა ვარ...

თამ. წყეულ იყავი...

ბაბე. (გააჩუმებს) თამაზ, აპატიე,—უგუნურია!

სოლო. ჰა, ჰა, ჰა, შიშისაგან გული მიმდის! ჰა, ჰა, ჰა, დედე, დედი, ცოტა ბაიათები თქოს, გაგვამხიარულოს!

თამ. შე... (წაავლებს სკამს ხელსა, მაგრამ გულ-შემოყრილი დაეცემა. ბაბე და მაია მისცვივდებიან).

სოლო. სისუსტე სჭირს საწყალს ჰა, ჰა, ჰა! (გადის).

ბაბე. } თამაზ, თამაზ, დამშვიდდი!..
მაია. } (გონზე მოაყვანენ)

ბაბე. ნუ ჯავრობ, გენაცვალოს ჩემი თავი! წამო მაისვენე ცოტა ხანს!

მაია. მაისვენე ცოტა, წამობძანდი (იღლიებში დაიჭერენ და მეორე ოთახში გაიყვანენ).

(დასასრული იქნება)

113 რადიკალი, 17 ლიბერალი და 2 ნაპრედნიაკი. ორის წევრისა ხელ-მეორედ უნდა მოხდეს არჩევანი.

პარიჟი. ბელგრადიდგან ამბავი მოვიდა, რომ ნამეფევარის მილანისა და იმის შვილის მოკვლა უნდოდათ და როცა ისინი სეირნობდნენ, ეტლში ამაფეთქებელი გული შეუგდეს, რომელიც თუმცა აფეთქდა, მაგრამ არავისთვის არა დაუშავებია-რა.

პეტერბურგის ბირჟა, 13 სექტემ.

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გარიგებულნი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | — „ | — „ | 6 42 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | „ | 127½ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1 13 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 227 |
| —მეორისა | — „ | — „ | 213 |
| —მესამისა | 210½ | — „ | 213½ |
| გირავნობის ფურცელნი ტ ილისის ბანკისა | 100½ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | 100 | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | 89½ | — „ | — „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე გაკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე გავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-გავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილის გადაზე გემები.

---

# განცხადებანი

---

## სასწავლებელი ქალბატონის კუესტისა

გრუზენშტერნის ქუჩა № 9

ამზადებს ბავშვებს (ქალებს და ვაჟებს) ყველა სასწავლებელში მისაღებად. სხვათა შორის განსაკუთრებით ასწავლის ფრანგულსა და გერმანულს ენას. (15—1)

## ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის ზედამხედველ კომიტეტისაგან.

ზედამხედველი კომიტეტი ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა აცნობებს ამა ბანკის საზოგადოების წევრთა, რომ თანახმად მისთა გარდაწყვეტილებათა, დადგენილთა ამა წლის 3 ივლისს და 2 აგვისტოს და ბანკის წესდების §§ 78 და 79 ძალით დანიშნულია ამა წლის 30 ოქტომბერს, ქუთაისის ქალაქს, საგანგებო საზოგადო კრება ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის წევრთა.

ამ საგანგებო კრებამ უნდა განსაჯოს ზედამხედველის კომიტეტის გარდაწყვეტილება, დადგენილი ამა წლის სამს ივლისს, რომლითაც ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობის თავმჯდომარეს, კოლისტრატე ნიკოლოზის ძეს ჩიკვაიძეს, არჩეულს ამა წლის 18 მაისს, განუჩინეს თანამდებობიდგან გარდაყენება, რადგანაც მან წესდების დამარღვეველი წინააღმდეგობა გაუწია ზედამხედველს კომიტეტს, როცა ეს კომიტეტი თავის თანამდებობითს ვალდებულებას ასრულებდა.

იმის მიხედვით, თუ რა შედეგი ექნება ამ მსჯელობას, საზოგადო კრებამ უნდა აღირჩიოს ბანკის გამგეობის ახალი თავმჯდომარე, ანუ ზედამხედველის კომიტეტის ახალნი წევრნი.

ამის გამო ხსენებულის ბანკის საზოგადოების წევრთა უმორჩილესად ვთხოვთ, მობრძანდნენ ქუთაისს დანიშნულის ვადისათვის საზოგადო კრებაზე მონაწილეობის მისაღებად.

ამასთანავე კომიტეტი საჭიროდ სთვლის, წინადვე აუწყოს, რომ ხმის მისაცემი ვექილობები, კრებაზედ არა დამსწრე პირთაგან მიცემული, წესდების § 82-ის ძალით, უნდა იქმნენ წარმოდგენილნი კრებამდის სამის დღით წინ მაინც და დაწერილნი იმ ფორმით, რომელიც ამასთანავე დარიგდება.

---

ეს განცხადება იბეჭდება შემდეგის გარდაწყვეტილების ძალით:

1890 წელსა ივლისის 3 დღესა, ზედამხედველმა კომიტეტმა ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისამ, შედგენილმა თავმჯდომარის თავ. ს. გ. წერეთლისა და წევრთა ბ-ნთ ს. ბ. ჯორჯიკიასა, ლ. ნ. ასათიანისა, ლ. თ. ლოლუასა და თავ. ა. ნ. ლორთქიფანიძისაგან, მოისმინა საქმე აღუსრულებლობასა ზედა კომიტეტის გარდაწყვეტილებისა ამა სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობის მხრით და დაინახა შემდეგი:

პირველის დღეებიდგანვე, როდესაც წრეულს ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის წევრთა საზოგადო კრებამ სხდომები დაიწყო, საზოგადოებაში ხმა დაკარდა, რომ ბანკის გამგეობის თავმჯდომარის თანამდებობაზედ აღრჩევისათვის ადგენენო ვექილობებს იმისთანა პირებისაგან და იმისთანა პირები, რომელთაც მართლ-შემძლეობა, ანუ წესიერი უფლება არა აქვთო.

ეს ხმა დასტურ მართალ ამბად გადაიქცა არჩევანების გათავების შემდეგ, როდესაც შევიტყვეთ, რომ ვექილობებს დასტა-დასტად ადგენდნენ არჩევანების წინა დღეს და თვით იმ დღესვე და მაშინაც-კი, როდესაც კენჭის-ყრა დაწყებული იყო, და ამასთანავე ადგენენ არა თვითონ ვექილები, არამედ ერთის, ან მეორე დასის შემაგულიანებელი კაცები.

ბოლოს, როდესაც დაიმალა მოხერხებით თავ-მოყრილი უმრავლესობა, რომელმანაც 18 მაისს გამგეობის თავმჯდომარის არჩევანი მოახდინა, საზოგადო კრებამაც, ჯერ კიდევ ყოველისავე გაგონილისა და ნანახის ახალს შთაბეჭდილებას ქვეშ მყოფმა, განიზრახა წესიერება დაედგინა როგორც ვექილობათა წარმოდგენისათვის, აგრეთვე თვითონ არჩევანებისათვის, რომ ამ გვარად შემდეგში მაინც თავიდგან აეცილებინა და შეუძლებელი გაეხადა მოხერხებით უმრავლესობის თავმოყრა, რომელიც ძლიერ საშიშარია ბანკის ინტერესებისათვის და მის საქმეთა წესიერად მსვლელობისათვის.

ამ გარემოებათა მიხედვით, რომ ვექილობების რიცხვი აღემატა ათასს, რომ ეს ვექილობები, როგორც საყოველთაოდ გამოაცხადა კრების თავმჯდომარემ, წარდგენილნი იყვნენ, დასტა-დასტად დაწესებულის ვადის შემდეგ არა თვითონ ვექილებისაგან, არამედ პარტიის კაცებისაგან და რომ ეს ვექილობები არავის შეუმოწმებია, რამდენმამე წევრმა ზედამხედველის კომიტეტისამ აზრად დასდვა, რომ მიუცილებლად საჭირო არისო ამ ვექილობების შემოწმება, რომ ამითი შევიტყოთ ნამდვილი ამბავი, დავამშვიდოთ საზოგადოებრივი აზრთა მღელვარება და განვაწესიეროთ შემდეგისათვის ვექილობათა შედგენისა და წარმოდგენის რიგი და, თუ საჭირო შეიქნა, მივიღოთ შემთხვევის შესაფერი და კომიტეტის მხრით ჯეროვანი საშუალება.

მაგრამ სანამ კომიტეტის უწინდელი თავმჯდომარე სხდომას დანიშნავდა და კომიტეტი რამე საშუალებას მიიღებდა, შემოვიდა ექვსიოდე კაცის განცხადება, სადაც ნაჩვენები იყო სხვა და სხვა წესის დარღვევა, რომელთაც თავიდამ აცილება შეუძლებელ საქმედ გაუხდა საზოგადო კრების თავმჯდომარედ მყოფს. ეს განცხადება სხვათა შორის ამბობდა, რომ ვექილობები თავის დროზედ წარდგენილი და მიღებული არ ყოფილანო და რომ მეკენჭეები ჩასწერეს სიაში ვექილობების შეუმოწმებლადო.

ამის გამო 2 ივნისს ამა წლისას ზედამხედველმა კომიტეტმა დაადგინა: მიენდოს კომიტეტის წევრს ა. ნ. ლორთქიფანიძეს შემოწმება ყველა ვექილობების, რომელნიც წრევანდელის საზოგადო კრებისათვის იყვნენ წარმოდგენილნი, რომ ამითი შევიტყოთ მინდობილებათა წესიერება, ეთხოვოს მას, რომ ამ საქმეს დაუყოვნებლად შეუდგეს და გათავებისათანავე ამ შემოწმების შედეგი კომიტეტს მოახსენოს.

ამ კომიტეტს გარდაწყვეტილების აღსასრულებლად თავ. ლორთქიფანიძე მივიდა ბანკში, რომ გამოერთვა ვექილობები კასსირისათვის, რომელსაც ისინი შენახული ჰქონდა საზოგადო კრების თავმჯდომარის მინდობილობით. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს ვექილობები სამს ივნისს დილით წაეღო კასსიდგან ამ ვექილობების ძალით ახლად აღრჩეულს გამგეობის თავმჯდომარეს კ. ნ. ჩიკვაიძეს და თან გაეყოლებია ყველა სიები ბანკის დამფუძნებელთა და მესესხებელთა, კომიტეტის წევრმა ლორთქიფანიძემ რამდენჯერმე ითხოვა ამ ვექილობების დაბრუნება, მაგრამ ყოველთვის უარი მიიღო ბ. —ჩიკვაძისაგან, რომელმაც ბოლოს მოსთხოვა ლორთქიფანიძეს ოფიციალური ქაღალდი. ეს მოთხოვნილება ლორთქიფანიძემ შეასრულა 5 ივნისს და მისცა გამგეობას წერილობითი წინადადება, რომ გადაეცათ მისთვის უეჭველად მოტაცებული ბ. ჩიკვაძისაგან ვექილობები.

ეს წინადადება, რომელზედაც ბ. ჩიკვაძეს დაეწერა, „მოხსენდესო გამგეობას 7 ივნისსა, განიხილა გამგეობამ და პასუხად გამოუგზავნა კომიტეტს 125 კაცისაგან ხელმოწერილი განცხადება, რომლითაც ესენი სთხოვდნენ გამგეობას, მფარველ ექმნით საზოგადო კრების უფლებასა და იხსნით იგი ზედამხედველის კომიტეტისაგანო, იმ მიზეზით, რომ ამ განცხადების აზრი ვითომც მწვდროდ შეკავშირებული უფლებიერს კომიტეტისაგან გარდაწყვეტილის ვექილობების შესწორებასთან, ბანკის გამგეობა განუდგა ზედამხედველს კომიტეტს და არ აღასრულა მისი მოთხოვნილება და, თითქოს ჯერ არ შეეტყო მას, თუ რაში მდგომარეობდა კომიტეტის უფლება, მოსთხოვა მან კომიტეტს, გაეცნობე თქვენი აზრი და განზრახვა ამ საგანზედო.

კომიტეტმა უადგილოდ იცნო გამართა გამგეობასთან განმარტებითი მიწერ-მოწერა მაზედ, თუ რა განზრახვით აპირებდა იგი საქმის დაწყებას და ამით დააკმაყოფილებინა გამგეობის ცნობის მოყვარეობა, უადგილოდ იცნო პირველად იმის გამო, რომ გამგეობას უფლება არა ჰქონდა მოეთხოვა კომიტეტისაგან რაიმე პასუხი, ან ექზამენი ეყო მისთვის და მეორედ იმის გამო, რომ კომიტეტს არ შეეძლო შეეტყობინებია აზრი იმ საგანზედ, რომელიც მას არ განუხილავს და არ განუხილავს თითონ გამგეობის მიზეზით. ამის გამო კომიტეტმა 11 ივნისს გადასწყვიტა: მიეწეროს ხელახლად გამგეობას, რომ სამის დღის განმავლობაში აღასრულოს მან ზედამხედველის კომიტეტის მოთხოვნილება 2 ივნისის გარდაწყვეტილებაში გამოთქმული.

ამ მოთხოვნილების პასუხად ჩვენ მივიღეთ ყველასაგან ცნობილი ეპისტოლე ბ. ჩიკვაძისა, რომელზედაც საუბარი, კომიტეტის აზრით, უადგილო იქნებოდა, სხვათა შორის იმის გამო, რომ წერილი არ შეიცავს არავითარს საქმის შესახებს საინტერესო კითხვის განმარტებას. ამის გამო კომიტეტმა აღძრა კითხვა, თუ რა პასუხის გებას უნდა მიეცნენ გამგეობის წევრნი და მისი თავმჯდომარე ზედამხედველის კომიტეტის გარდაწყვეტილებათა აღუსრულებლობისათვის და დაადგინა 21 ივნისს: ეკითხოს თითოეულს მათგანს, თუ რისთვის არ ასრულებენ ისინი კომიტეტის დადგენილობას.

განმარტებაში, რომელიც გამგეობამ კომიტეტს წარუდგინა, ნათქვამია, რომ გამგეობა იმიტომ ვერ ასრულებს კომიტეტის მოთხოვნილებას, რომ გამგეობას, როგორც შემკრებლობითს დაწესებულებას, არასდეს ხელში არ ჰქონია ვექილობები, რადგანაც ისინი ეკუთვნიან საზოგადო კრებისა და კომიტეტის საქმეებს და რომ ეს ვექილობები ამ ჟამად უჭირავსო გამგეობის თავმჯდომარეს ბ. ჩიკვაძეს, როგორც კერძო პირს.

ამ გვარად აღმოჩნდა, რომ ზედამხედველს კომიტეტს თავის ვალდებულების აღსრულებაში ხელი შეუშალა გამგეობის თავმჯდომარემ კ. ჩიკვაიძემ იმა სიებისა და ვექილობებათა მოტაცებით, რომელთა ძალითაც ის 18 მაისს არჩეული აღმოჩნდა და რომელთაც ის არ გვანებებს უეჭველად იმ განზრახვით, რომ მოუშალოს კომიტეტს მათი შემოწმება, რადგანაც მას ეშინიან, არ გამოაშკარავდეს, რომ უმრავლესობა საზოგადო კრებისა 18 მაისს იყო შედგენილი მოხერხებით.

ამ გვარმა გამგეობის თავმჯდომარის თვითმნებლობამ და უკანონო მოქმედებამ, რომელიც მან ჩაიდინა პირადის განზრახულებით, საფუძვლიანს ეჭვში შეიყვანა ზედამხედველი კომიტეტი და შეაშინა იგი, რომ ბანკის საქმეთა წესიერად მსვლელობა მომავალში არ დაირღვეს და ამასთანავე დაგვანახა, თუ რა კადნიერებით აღიჭურვება ბ. ჩიკვაძე იმ შემთხვევაში, თუ კვიცობას გამოაშკარავებს და სხვა რაიმე უდიდესი ბოროტ-მოქმედება მისი.

ამისთვის ზედამხედველმა კომიტეტმა მიიჩნია ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ ყოფნა ჩიკვაძისა ძლიერ მავნებლად ბანკის არსებობისათვის და მიუცილებელ საჭიროებად სცნო, გაასამართლოს იგი § 78-ის 15 მუხ. ძალით ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის წესდებისა.

ამას შემდეგ ზედამხედველი კომიტეტი შეუდგა გამგეობის დანარჩენ წევრთა, ბბ. ჯაიანისა და ერისთავის დანაშაულობის განსჯას კომიტეტის გარდაწყვეტილების აღუსრულებლობისათვის და ჰპოვებს, რომ ეს გამგეობის წევრნი, მათის პასუხის თანახმად და თუ საქმეს ფორმალურის თვალით შევხედავთ, მართალნი არიან, რადგანაც მათთვის, როგორც გამგეობის წევრთათვის არავის არ ჩაუბარებია ვექილობები, რომელნიც კომიტეტის საქმეებში და კომიტეტის ხელში ირიცხებოდნენ, მაგრამ გამგეობის თავმჯდომარემ კი ხელში ჩაიგდო.

ზედამხედველმა კომიტეტმა მიიღო მხედველობაში ყოველივე ზემო ნათქვამი და განაჩინა: გადაყენებულ იქმნეს თანამდებობიდგან ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე კალისტრატე ნიკოლოზის ძე ჩიკვაიძე და ეს განჩინება წარუდგინოს განსასჯელად საგანგებო საზოგადო კრებას და კითხვა გამგეობის დანარჩენ წევრთა, თავ. ერისთავის და ბ-ნ ჯაიანის, პასუხის გებაზედ-კი დატოვებულ იქმნეს უშედეგოდ. (3—1)

---

## „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| მარაბდა პოემა ა. ფურცელაძისა | „ | 20 |
| თხზულება რ. ერისთავისა II ნაწილი | „ | 40 |
| ქიტესა, მოთხრობა ან. ფურცელაძისა | „ | 15 |
| ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის, ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა | „ | 50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა, ლექსად, ბაჩანასი | „ | 15 |
| კიკოლას ნაამბობი, ისტორიული პოემა აკაკისა | „ | 20 |
| განკიხული, მოთხრობა ა. მოჩხუბარიძისა | „ | 60 |
| ძეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, იურიდიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა | „ | 25 |
| ბორკილი, დრამა ოთხს მოქმედ. ა. სუმბათაშვილისა, ნათარგ. ა. მ. ახნაზაროვისა | „ | 40 |
| იაენანამ რა ჰქნა, მოთხრობა მოზრდილი ყმაწვილებისათვის ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა | „ | 80 |
| გრამატიკა ქორდანიასი | „ | 55 |

გამოვიდა და იყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“

## პატარა კახი

ისტორიული ხუთ მოქმედებიანი დრამა ლექსად

აკაკისა

ფასი 50 კაპ.

Доз. цен. Тифлисъ, 18-го Сентября 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Melик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე